



2.1 ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები

ზღაპრის არქეტიპები როგორც დალის საბავშვო ნაწარმოებში „შეუდარებელი ბატონი მელია“

თამარი ბურნაძე¹

¹დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ტელეფონი: 598141148, Email: tako.burnadze@gmail.com

აბსტრაქტი

სტატიაში წარმოდგენილია როგორც დალის საბავშვო ნაწარმოების „შეუდარებელი ბატონი მელია“ ანალიზი, მასში ზღაპრის არქეტიპების იდენტიფიცირებისა და გააზრება-გადააზრების საფუძველზე.

სტატია მიზნად ისახავს, საანალიზო მასალაზე დაყრდნობით, გამოარკვიოს როგორც დალის საბავშვო ნაწარმოების არქეტიპული ელემენტების შემცველობის მნიშვნელობა და კავშირი მსოფლიო ხალხთა ზღაპრებთან. ასევე, კვლევის მიზანია, იმის დადგენა, თუ რა სახის ტრანსფორმაცია განიცადა ზღაპრის არქეტიპებმა მსოფლიო ხალხთა ზღაპრებიდან დალის მოცემულ ნაწარმოებამდე, რომელი არქეტიპია უფრო მეტად გამოკვეთილი და რომელი ქვეყნის ზღაპრებთან მჭიდროდ უფრო მეტი მსგავსება.

საკვანძო სიტყვები: არქეტიპები, ზღაპრის არქეტიპები, მსოფლიო ხალხთა ზღაპრები, მელიის სახე-სიმბოლო, როგორც დალი

შესავალი

არქეტიპების უნივერსალური ხასიათი გულისხმობს მათ არსებობას კულტურის სხვადასხვა სფეროში. ტერმინი „არქეტიპი“ თავდაპირველად გვხვდება იუნგის ნაშრომში („Instinct and the unconscious,” 1919) და მის მიერ განხილული კოლექტიური არაცნობიერის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ არქეტიპებით დაინტერესებამ ფსიქოლოგიიდან, თანდათანობით, სხვა სფეროებში გადაინაცვლა და მოცემული ფენომენის კვლევა დაიწყო ზღაპრებში, მითებში, რელიგიასა და ხელოვნებაში.

არქეტიპები თანამედროვე სამყაროშიც მრავლადაა წარმოდგენილი არა მხოლოდ ტექსტური, არამედ ფილმებისა და სხვა გამომსახველობითი ფორმების საშუალებით. ზღაპრის არქეტიპები შედარებით ნაკლებადაა გამოკვლეული თანამედროვე საბავშვო მწერლების

ნაწარმოებებში. მათი განხილვა უფრო ხშირად ხდება ფართო ჭრილში. ვინაიდან ზღაპრები ადამიანური სიბრძნისა და გამოცდილების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს, საინტერესო იქნება მათში არსებული არქექტიპების სიღრმისეული შესწავლა.

ლიტერატურაში არქექტიპების კვლევა უკავშირდება ნორტოპ ფრაის სახელს. მას თავის ნაშრომში „კრიტიკის ანატომია“, (1957) მოჰყავს არგუმენტები იმის დასამტკიცებლად, რომ მითოსური არქექტიპი წარმოადგენს ლიტერატურის მთავარ მამოძრავებელ ძალას. უფრო კონკრეტულად, ფრაი მითოსურ არქექტიპებს სიღრმისეულად განიხილავს ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრთან მიმართებით (ტრაგედია, კომედია, სატირა და რაინდული რომანი). კავშირი აღნიშნულ ლიტერატურულ ჟანრებსა და მითოსურ არქექტიპებს შორის შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

რაინდული რომანი - ძიების მითოლოგემა, გმირის ტრიუმფი

კომედია - გმირის ახლიდან დაბადება, მკვდრეთით აღდგომა

ტრაგედია - პროტაგონისტის დაცემა ან სიკვდილი

სატირა - გმირის არარსებობა

აღსანიშნავია, რომ ფრაის კრიტიკა არ არის ტექსტუალური ხასიათის. არქექტიპების გამოსავლენად ის ერთმანეთს უკავშირებს სხვადასხვა ტექსტებს.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორის ყურადღება არაა მიმართული კონკრეტულად ზღაპრებსა და საბავშვო ლიტერატურაში არსებული არქექტიპებისკენ, აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს დამხმარე მასალას როაღდ დალის საბავშვო ნაწარმოებებში ზღაპრის არქექტიპების კვლევის პროცესში. ამის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ავტორის მიერ ოთხი ლიტერატურული ჟანრისთვის მიკუთვნებული არქექტიპები ხშირად ზღაპრებშიცაა წარმოდგენილი და მათი არსებობა სხვადასხვა სახის ტექსტში უფრო მეტად ამყარებს შეხედულებას კოლექტიური არაცნობიერისა და არქექტიპების უნივერსალური ხასიათის შესახებ.

გარდა იმისა, რომ არქექტიპები განხილულია ფართო ლიტერატურულ კონტექსტში, ხშირად მათ იკვლევენ ცალკეული სახით და მოიცავენ პერსონაჟებს, გარემოს, მთავარი გმირის მოგზაურობის საფეხურებსა და სხვა არქექტიპულ სახე-სიმბოლოებს სხვადასხვა სახის ტექსტებში. კონკრეტულად, ზღაპრებში არსებული ფუნქციები განხილულია რამდენიმე თვალსაზრისით.

ფოლკლორულ ტექსტებში არსებული არქექტიპები საფუძვლიანად გაანალიზა პროპმა თავის ნაშრომში „ზღაპრის მორფოლოგია.“ იგი არის მცდელობა ზღაპრის სიღრმისეული სტრუქტურების შესწავლისა. პროპი აღნიშნულ ნაშრომში, რუსულ ზღაპრებზე დაყრდნობით, მიმოიხილავს სიუჟეტის ძირითად კომპონენტებს და ახდენს საერთო თემებისა და ელემენტების იდენტიფიცირებას. მისი აზრით, არსებობს უნივერსალური ელემენტები, რომლებიც ზღაპრის ყველა ტექსტისთვის საერთოა და შესაძლებელია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ზღაპრებში იდენტური ან მსგავსი სიუჟეტების, სიმბოლოებისა თუ პერსონაჟების

არსებობა. პროპს მიაჩნია, რომ მსოფლიო ხალხთა ზღაპრებს შორის არსებული მსგავსებების მიზეზთა დადგენაში დახმარება შეუძლია მორფოლოგიურ კვლევას, რადგან ამბის კომპონენტებად დაშლის უნარი სწორი შედარებითი ანალიზის საწინდარია.

უნდა აღინიშნოს, რომ იგი ზღაპრის შემადგენელი ნაწილების განსაცალკევებლად იყენებს სპეციალურ მორფოლოგიურ მეთოდს, რაც გულისხმობს ზღაპარში არსებული მოვლენებისა და ქმედებების შედარებას. მან მოახერხა ასობით ზღაპრის ერთ სტრუქტურამდე დაყვანა, რისი მეშვეობითაც გაამყარა საკუთარი მოსაზრება ზღაპრების საერთო მახასიათებლების შესახებ. ასევე, პროპს შეხედულებები არგუმენტირებულია ზღაპრებიდან წარმოდგენილი მაგალითებით, რომლებიც ეხმარება იმის წარმოჩენაში, რომ მართალია, ხშირ შემთხვევაში ზღაპრებში იცვლებიან პერსონაჟები და მათი მახასიათებლები, თუმცა მათი ქმედებები და ფუნქცია უცვლელი რჩება.

პროპის სტრუქტურული მოდელი ეყრდნობა შემდეგ კრიტერიუმებს:

- პერსონაჟთა ფუნქციები ზღაპრის სტაბილური, მუდმივი კომპონენტებია, მიუხედავად იმისა როგორ და ვის მიერ სრულდება ისინი და წარმოდგენენ მის ფუნდამენტურ შემადგენელ ნაწილებს.
- ზღაპარში არსებული ფუნქციების რაოდენობა შეზღუდულია.
- ფუნქციათა თანმიმდევრობა ყოველთვის იდენტურია.
- ყოველი ზღაპარი სტრუქტურულად ერთი ტიპისაა.

შესაძლოა ითქვას, რომ პროპის მიერ ზღაპების სტრუქტურული ანალიზი სიღრმისეულია და მისი საშუალებით მკაფიოდაა გამოკვეთილი საერთო, არქეტიპული ელემენტები. უნდა აღინიშნოს ავტორის მიერ კვლევაში გამოყენებული ზღაპრების სიმრავლეც, რაც კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას მატებს მას.

პროპის მიერ დადგენილი უნივერსალური სტრუქტურა საშუალებას იძლევა, შედარებითი ანალიზის გამოყენებით, როაღ დალის საბავშვო ლიტერატურაში გამოვავლინოთ არქეტიპული ელემენტები, უნივერსალური ფუნქციები და ასევე, სტრუქტურული განსხვავებები. მოცემული სტატიისთვის საკვლევ მასალას, როაღ დალის ნაწარმოების გარდა, წარმოდგენს მსოფლიო ხალხთა ზღაპრები, რაც სცდება პროპის მიერ გამოკვლეული რუსული ზღაპრების არეალს და ერთგვარი საშუალებაა ზღაპრის არქეტიპების უნივერსალური ხასიათის შესახებ მოსაზრების გასამყარებლად.

ზღაპრების ფუნქციებსა და სტრუქტურაზე საუბრისას აღსანიშნავია ლევი სტროსის მოსაზრება, რომელიც გარკვეულწილად პროპის შეხედულებას ეწინააღმდეგება. პროპის მიდგომა სინტაგმატურია, ლევი სტროსის კი პარადიგმატური. მაშინ როდესაც პროპი ახდენს ფუნქციათა კლასიფიკაციას ზღაპრებში და ყურადღების მიღმა ტოვებს სემანტიკურ კონტექსტს, მისი ოპონენტი იკვლევს სემანტიკურ მიმართებებს მითემებს შორის. აღნიშნულ ორი ავტორს შორის არსებული თეორიული და მეთოდოლოგიური განსხვავების მიუხედავად, ისინი გარკვეულწილად ერთმანეთს ავსებენ. შესაბამისად, გარდა ფუნქციებისა, როაღ

დალის ნაწარმოებში „შეუდარებელი ბატონი მელია“ შესაძლებელია ყურადღების კონტექსტზე გამახვილებაც.

ვინაიდან სტატიაში გამოკვლეულია როაღ დალის ნაწარმოები „შეუდარებელი ბატონი მელია,“ უნდა გამოიყოს რამდენიმე მოსაზრება ზღაპრებში არსებული იმ არქეტიპული სახე-სიმბოლოების შესახებ, რომლებიც ცხოველების, კონკრეტულად კი მელიის სახითაა წარმოდგენილი.

მიჩნეულია, რომ კონკრეტული ცხოველები და მათი მნიშვნელოვანი როლი ზღაპრებში არასოდეს იცვლება (Teupe, 2013). ჩედვიკი, ანალიზებს რა, ანტროპომორფულ იგავებში, სხვა სახის ტექსტებსა და ხელოვნების ნიმუშებში, მელიის წარმოდგენის გზას, უხსოვარი დროიდან დღემდე, ასკვნის, რომ იგი ერთ-ერთი უცვლელი და მყარი პერსონაჟია და ხშირად წარმოდგენილია, როგორც ოინბაზი ანტიგმირი, რომელიც ყველა ღონეს ხმარობს გემრიელი საკვების ხელში ჩასაგდებად (Chadwick, 1994). ჩოლოყაშვილის მიხედვით, მელია სხვადასხვა ტიპის ზღაპრებში სხვადასხვა ფუნქციის მატარებელია. მაგალითად, ზოგიერთი ტიპის ზღაპარში ის საწადელს აღწევს, სხვა ტიპის ზღაპრებში კი ვერა. ასევე, ის შესაძლოა წარმოდგენილი იყოს, როგორც ადამიანის დამხმარე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ტიპის ზღაპარში შენარჩუნებულია მისი მთავარი მახასიათებლები: მოხერხებულობა, ოინბაზობა, სხვების მოტყუების უნარი. უცვლელი რჩება ის ნიუანსიც, რომ მელია ქმედებები ძირითადად ერთ მიზანს - საკვების მოპოვებას უკავშირდება (ჩოლოყაშვილი, 2013).

ბოსი, შედარებითი მეთოდის გამოყენებით, მელიის სახე-სიმბოლოს იკვლევს ევროპულ და იაპონურ კულტურებსა და ცხოველთა ზღაპრებში (Boss, 2020). მისი დასკვნით, მართალია მელია ახვადასხვა კულტურაში წარმოდგენილია როგორც ოინბაზი, თუმცა მისი ამგვარად წარმოდგენა სხვადასხვა ფუნქციის მატარებელია. ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ჰოლანდიურ ცხოველთა ზღაპრებში გვხვდება მელია რეინარდი, როგორც მანიპულატორი ანტაგონისტი, სერიული მკვლელი, კორუმპირებული დიდებული და ა.შ. მაშინ როცა, აღმოსავლეთ აზიის კულტურაში მელია ზებუნებრივი ძალის მფლობელია (kitsune), თუმცა შესაძლოა თავად დარჩეს მოტყუებული, აქვს რამდენიმე კუდი, რომელთა რაოდენობის ზრდის პროპორციულად იზრდება მისი ძლევამოსილება. ბოსის მიერ აღნიშნულ ორ კულტურაში მელიის სახე-სიმბოლოს შესწავლა ევროპულ და იაპონურ ცხოველთა ზღაპრებს, დალის საბავშვო ნაწარმოებისთვის კი საკვლევ მასალას წარმოადგენს მსოფლიო ხალხთა ზღაპრები, რაც უფრო ფართო ჭრილში წარმოგვიდგენს მელიის სახე-სიმბოლოსა და მის არქეტიპულ ბუნებას.

აღნიშნული სტატიის მიზანია შედარებითი მეთოდის გამოყენებით გამოიკვლიოს ზღაპრის არქეტიპები როაღ დალის საბავშვო ნაწარმოებში „შეუდარებელი ბატონი მელია“ და უპასუხოს შემდეგ შეკითხვებს:

- რა სახის მსგავსებები იკვეთება მსოფლიო ხალხთა ზღაპრებსა და როაღ დალის საბავშვო ნაწარმოებს შორის? რამდენად მკვეთრია არსებული მსგავსებები?
- რომელი ქვეყნის ზღაპრებთან ამჟღავნებს დალის საბავშვო ნაწარმოები უფრო მეტ მსგავსებას?

- რომელი არქექტიპებია ყველაზე მეტად გამოკვეთილი როაღდ დაღის საბავშვო ნაწარმოებში „შეუდარებელი ბატონი მელია?“
- რა სახის ტრანსფორმაცია განიცადა არქექტიპებმა მსოფლიო ხალხთა ზღაპრებიდან დაღის საბავშვო ნაწარმოებამდე?

დაღის ნაწარმოებში „ შეუდარებელი ბატონი მელია“ მელია მთავარი გმირის სახითაა წარმოდგენილი. დასაწყისშივე ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ავტორი მელიას ადამიანურ თვისებებს ანიჭებს: იგი ტექსტში გვხვდება, როგორც „ბატონი მელია,“ შეუძლია საუბარი, ადამიანის მსგავსად მისი გუნება-განწყობილებაც იცვლება და ერთმანეთს ცვლის უდარდებლობა, მხიარულება და სიამაყე : „არადა, ბატონ მელას რომ სცოდნოდა, იმ ღამით სად ჩაუსაფრდა სამი ფერმერი, ასე უდარდელად არ ილაპარაკებდა“ (დაღი, 2022: 22), „თვალეში მხიარული ნაპერწკალი უკრთოდა“ (დაღი 2022: 47), „ - პირველივე ცდით მოვახერხე! მოვახერხე! მოვახერხე! - ამვრა იატაკის ღრიჭოში და სიხარულით დაუარა, -ამოდით! - მიუმღერა შვილებს...“ (დაღი 2022: 51). ასევე, მელიასთან მიმართებით ტექსტში ხშირად გვხვდება შემდეგი სიტყვები და ფრაზები : აკანკალებული წამოჯდა, ატირდა, დაიქაღნა, აქვითინდა, ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა, ამოიხვნეშა, გაუღიმა, სევდიანად გააქნია თავი და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანური თვისებების მინიჭება მელიისა და მისი ოჯახის ამბავს მკითხველისთვის ემოციურად აღსაქმელს ხდის.

სხვადასხვა ქვეყნის ზღაპრების გაანალიზება, რომლებშიც მელია ფიგურირებს გამოავლენს, რამდენადაა მელიისთვის ადამიანური თვისებების მინიჭება ზოგადად ზღაპრების უცვლელი მახასიათებელი.

ბრაზილიურ ზღაპარში „კუ და მელაკუდა“ ძირითადი ადამიანური თვისება, რომელიც მელიას აქვს არის საუბრის უნარი. ასევე, შესამჩნევია, რომ მელიას შეუძლია სანამძლეოს დადება და დაფიქრება :

„ - აუ! რა გნებავთ?!

მელიამ უთხრა:

- მოდი დავნამძლევედეთ!

კუ დაეთანხმა:

- კარგი, მაგრამ, რაზე დავნამძლევედეთ?

მელია დაფიქრდა და მიუგო:

-თუნდაც ერთმანეთს ძალაში შევეჯიბროთ!“ (ბრაზილიური ზღაპრები, 2019:124)

რაც შეეხება გერმანულ ზღაპარს „მელა და კატა,“ მელია დაღის ნაწარმოების მსგავსად ნახსენებია, როგორც „ბატონი მელა“ და ისეთი ადამიანური თვისებებით წარმოგვიდგება, როგორიცაა მედიდურობა, სიამაყე, შეცოდების განცდა და საუბრის უნარი: „მელამ მედიდურად ახედ-დახედა კატას თავით ფეხებამდე, არ იცოდა პასუხის ღირსი გაეხადა თუ

არა“ (გერმანული ზღაპრები, 2020:195), „ როგორ მეცოდები, შე საწყალო, გამომყევი და გასწავლი, ძაღლებს ხელიდან როგორ უნდა დაუძვრე“ (გერმანული ზღაპრები, 2020:196). კიდევ ერთ გერმანულ ზღაპარში „მელა და ცხენი“, ასევე, ვხვდებით მელიის გაპიროვნებას, რაც გამოიხატება საუბრის, სხვისთვის რჩევის მიცემასა და ლომისთვის ფეხების შეკვრის უნარში: „ - აქ შენს გემოზე ვერ შეექცევი; ცხენს კუდიტ გამოგაბამ, ხაროში შეათრიე და იქ ნებივრად მიირთვი“ (გერმანული ზღაპრები, 2020: 265). სხვა გერმანულ ზღაპარში „მგელი და მელა,“ განხილული ზღაპრების მსგავსად, მელიას ძირითადი ადამიანური უნარი გააჩნია - მეტყველების უნარი (გერმანული ზღაპრები, 2020: 191).

მელიას სახე-სიმბოლოს ვხვდებით იტალიურ ზღაპრებშიც. ზღაპარში „ ბატი და მელა“ ვხვდებით შემდეგ სიტყვებსა და ფრაზებს: ტუჩებს ილოკავდა, ჩაიდუდუნა, ილოცა, გაიფიქრა, ჩაბუქნა, დაიყვირა, მიუკაკუნა (იტალიური ზღაპრები, 2020:178).

ამ მხრივ, არც იაპონური ზღაპრებია გამონაკლისი. ზღაპარში „კოჭლი მელია“ მელიებს შეუძლიათ ფიქრი, ტირილი, დაცინვა, დათრობა, ჯადოს გაკეთება, ცეკვა, გააჩნიათ უხერხულობისა და სირცხვილის განცდა (საზღვარგარეთის ხალხთა ზღაპრები, 1964:107).

იაპონიის მსგავსად, აფრიკაც გამორჩეულია თავისი კულტურული თავისებურებებით. საინტერესოა, გვხვდება თუ არა მელიის გაპიროვნება აფრიკულ ზღაპრებში. ზღაპარში „მელა და აფთარი“ მელას ადამიანის მსგავსად მხოლოდ საუბრის უნარი აქვს (აფრიკული ზღაპრები, 2019: 24). ხოლო მეორე აფრიკულ ზღაპარში „როგორ მოატყუა მელამ აფთარი“ მელას დამატებით ისეთი ადამიანური უნარები აქვს, როგორცაა სიმღერა და წიგნის ხელში დაჭერა (აფრიკული ზღაპრები, 2019: 187).

ადამიანური ნიშან-თვისებების ნაკლებობას არც ესპანურ ზღაპრებში წარმოდგენილ მელიასთან ვხვდებით: „ - გზაში შოშიებმა შემიჭამეს, - იცრუა მელამ. გაბრაზდა მგელი, წავიდა და თავისი სასახლის სახურავის ღებვა დაიწყო“ (ესპანური ზღაპრები, 2014:18).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმ ქართული ზღაპრების სიმრავლე, რომლებშიც ვხვდებით მელიის სახე-სიმბოლოს. ზღაპარში „მელიას ეშმაკობა“ ვხვდებით შემდეგ სიტყვებსა და ფრაზებს: ამოიღლიავა, დაიძახა, ტირილი დაიწყო, მიიმღერის, რქებზე ჩამოაცვა, დანით გამოსჭრა ყელი, ქვა ააგდო, ზურგზე წამოიკიდა და ა.შ. ყოველი მათგანი მელიას ქმედებებს გამოხატავს და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მისთვის ადამიანური ნიშან-თვისებების მინიჭებას. სხვა ქართულ ზღაპრებში, როგორცაა „ლომი და მელია,“ „მელია და მწყერჩიტა,“ „დათვი და მელია,“ „ტურა და მელა,“ „მელია“ და სხვ. აღნიშნული ტენდენცია გრძელდება.

როგორც მსოფლიო ხალხთა ზღაპრებისა და როაღდ დალის საბავშვო ნაწარმოების შედარებითი შესწავლისას გამოიკვეთა, მელიის ერთ-ერთი უცვლელი მახასიათებელი, სწორედ, მისი ადამიანური ნიშან-თვისებებითა და უნარებით წარმოდგენაა. სხვა ნიშან-თვისებებისგან განსხვავებით, მეტყველება ის უნარია, რომელიც ყველა განხილულ ზღაპარშია მოცემული, განურჩევლად კულტურული სხვაობებისა.

ყურადღებას იქცევს გარკვეული სიუჟეტური ნიუანსების განმეორებადი ხასიათიც. მაგალითად, ამ მხრივ, ერთმანეთთან მსგავსებას ამჟღავნებს გერმანული ზღაპარი „მგელი და მელა,“ და აფრიკული ზღაპარი „როგორ მოატყუა მელამ აფთარი.“ ორივე ტექსტში ვხვდებით, სხვების გასაცურებლად, მელიას მიერ გამოყენებულ მსგავს ხერხს: „გლეხი დაინახა თუ არა, მელია ერთი ნახტომით გაძვრა ხვრელში. მგელსაც უნდოდა უკან გაჰყოლოდა, მაგრამ საჭმელს ისე გაეებრა, რომ ვეღარ გაეტია და შიგ გაიჭიდა. მიადგა გლეხი და იმდენი ურტყა კეტი, სანამ სული არ ამოხდა“ (გერმანული ზღაპრები, 2020: 194); „მელიამ ადრე შეწყვიტა ჭამა, მივიდა ღობესთან, ნახა, რომ ძლივსღა ეტეოდა ხვრელში. როგორც იყო თვითონ გაძვრა და აფთარი მიატოვა. აფთარმა კი საჭმელი იპოვა და სხვა საფიქრალი რა ექნებოდა, ჭამა და ჭამა ხორცი. მუცელი ისე ჰქონდა გაბერილი, რომ ხვრელში მხოლოდ ტანის წინა ნაწილი ეტეოდა. დარჩა აფთარი ბაკში. დილით საქონლის პატრონი მოვიდა. მოსდგა აფთარს და იმდენი ურტყა, სანამ ხელიდან არ გაუსხლტა და არ გაექცა.“ (აფრიკული ზღაპრები, 2019: 187). იქიდან გამომდინარე, რომ აფრიკული და გერმანული კულტურა ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულია, შესაძლოა ითქვას, რომ აღნიშნული ორი მონაკვეთი ნათლად ავლენს ზღაპრის სიუჟეტური ნიუანსების უნივერსალურ ხასიათს.

იმის გამოსავლენად, თუ კიდევ რა აერთიანებს აღნიშნულ ზღაპრებს, გავანალიზოთ მელიის, როგორც პერსონაჟის ბუნება. ნაწარმოებში „შეუდარებელი ბატონი მელია,“ ავტორი მელიას წარმოგვიდგენს პროტაგონისტის სახით. თუკი დანარჩენი ზღაპრების კითხვისას მკითხველს ნაკლებად შეიძლება გაუჩნდეს თანაგრძნობის განცდა მელიის მიმართ, ბატონი მელიისა და მისი ოჯახის განსაცდელის მათი თვალთახედვით დანახვა იძლევა საპირისპირო სურათს. მელია დალისთან წარმოდგენილია, როგორც ოჯახსა და მეგობრებზე მზრუნველი პერსონაჟი, რომელიც ყველაფერს აკეთებს მათი კეთილდღეობისთვის და შედეგად განიცდის ბედნიერებას: „ბატონმა მელიამ შეხედა თავის ოთხს მელაკუდას და გაეღიმა. შვილები მყავს და რა შვილებიო, გაიფიქრა. სამი დღეა შიმშილით კვდებიან, ყლუპი წყალი არ დაუღვევიათ და მაინც არ ყრიან ფარ-ხმალს. ჰოდა, არც მე ვუღალატებო“ (დალი, 2022:48). მელია დამხმარედ გვევლინება კიდევ ერთ განხილულ ზღაპარში „კოჭლი მელია.“ თუმცა აქ იგი ადამიანებს იცავს სხვა მელიების ოინებისგან და მათ ჯადოსნურ შელოცვასაც ასწავლის. აფრიკულ ზღაპარში „მელია და აფთარი“ მელია საპირისპირო ხასიათს ამჟღავნებს და მეგობარს გასაჭირში ტოვებს. მიუხედავად მზრუნველი ხასიათისა, ნაწარმოებში „შეუდარებელი ბატონი მელია“ უცვლელი რჩება მელიის, როგორც ზღაპრების პერსონაჟის უნივერსალური თვისება - მოხერხებულობა და ქურდბაცაცობა. თუმცა ეს უკანასკნელი, ოჯახზე ზრუნვითაა გამართლებული: „-ქვეყანაზე ერთს მაინც იცნობ ისეთს, ვინც ორიოდე ქათამს არ აწაპნის, როცა შვილები შიმშილით ეხოცება?“ (დალი, 2022:72). კიდევ ერთი ხშირად განმეორებადი ნიუანსია ის, რომ მელია თავის მოხერხებულობას ხშირად საკვების მოსაპარად იყენებს. დალის ნაწარმოებში იგი გვირავს თხრის ქათმების, იხვებისა და სიდრის ხელში ჩასაგდებად; აღსანიშნავია, რომ სხვა ზღაპრებში მელია ძირითადად ჰკუთნებს სჯობნის ლომს, მგელს, აფთარსა და სხვა ცხოველებს, თუმცა, ამ მხრივ, გამონაკლისია ბრაზილიური ზღაპარი „კუ და მელაკუდა,“ რომელშიც წარმოდგენილია მელიის მოხერხებულობის მარცხი.

თუკი დალის საბავშვო ნაწარმოებს განვიხილავთ სტრუქტურული თვალსაზრისით, ამისათვის უნდა დავეყრდნოთ პროპის შემდეგ სქემას: 1. ოჯახის ერთ-ერთი წევრი მიდის სახლიდან; 2. გმირი იღებს გარკვეულ აკრძალვას; 3. გმირი არღვევს აკრძალვას; 4. უარყოფითი გმირი ცდილობს დაზვერვას; 5. უარყოფითი გმირი იღებს ინფორმაციას თავისი მსხვერპლის შესახებ; 6. უარყოფითი გმირი ცდილობს გააცუროს თავისი მსხვერპლი, რათა ხელში ჩაიგდოს მისი ქონება; 7. მსხვერპლი ებმევა მახეში; 8. უარყოფითი გმირი ზიანს აყენებს გმირის ოჯახის რომელიმე წევრს; 9. გმირს აცნობებენ უბედურების ან უქონლობის შესახებ; 10. მაძიებელი გმირი ეთანხმება ან უწევს წინააღმდეგობას; 11. გმირი ტოვებს სახლს; 12. გზაზე მას გამოცდიან, გამოკითხავენ, თავს ესხმიან და ა.შ. ასე მზადდება მისთვის ჯადოსნური საშუალების ან დამხმარის გამოჩენა; 13. გმირი რეაგირებას ახდენს მომავალი მჩუქებლის ქმედებაზე; 14. გმირი ხდება ჯადოსნური საშუალების მფლობელი (ეს შესაძლოა იყოს: ხმალი, ლამპარი, ცხენი, არწივი და სხვ. ან გმირმა შეიძინოს განსაკუთრებული ძალა და უნარები); 15. გმირს გადაიყვანენ ან მას მიუძღვიან იმ ადგილისკენ სადაც არის საძიებელი საგანი; 16. გმირი და უარყოფითი გმირი ერთმანეთს ებრძვიან; 17. გმირს დაღს ასვამენ; 18. ანტიგმირი მარცხდება; 19. თავდაპირველი უბედურება ან უქონლობა ლიკვიდირებულია; 20. გმირი ბრუნდება; 21. გმირს მისდევენ; 22. გმირი გადაურჩება მდევარს; 23. გმირს სამშობლოში ან სხვა ქვეყანაში დაბრუნებისას ვერ სცნობენ; 24. ცრუ გმირი დაუმსახურებლად მიიკუთვნებს უფლებებს; 25. გმირი დგება რთული ამოცანის წინაშე; 26. გმირი თავს ართმევს დავალებას; 27. გმირს სცნობენ; 28. ცრუ გმირი გამოაშკარავდება; 29. გმირი აქვს ახალი იერსახე; 30. ანტიგმირი ისჯება; 31. გმირი ქორწინდება და მეფდება (პროპი, 1984).

ავტორისეულ ტექსტში გვხვდება ზოგიერთი სტრუქტურული ელემენტი, როგორცაა მაგალითად, პერსონაჟის სახლიდან წასვლა და დაბრკოლებების გადალახვა. ტექსტში ასევე წარმოდგენილია გმირის გაქცევა და მისი დევნა. ბატონი მელია და მისი ოჯახი იძულებულნი ხდებიან დატოვონ საცხოვრებელი და მათი გასავლელი გზა თანდათანობით რთულდება-ჯერ იარაღით უსაფრდებიან, შემდეგ უკვე ტრაქტორებისა და ასზე მეტი მოსამსახურის დახმარებით ებრძვიან, ასევე ვხვდებით ანტაგონისტების მიერ მელიის საცხოვრისის დაზვერვას, მისი გაცურების მცდელობას, თუმცა როგორც პროპის მიერ წარმოდგენილ სტრუქტურულ სქემაშია მოცემული, საბოლოოდ, აღნიშნულ ტექსტშიც მთავარი გმირის მიერ ხდება ყველა სირთულის დაძლევა და პირველადი უქონლობა და უბედურება, პროპის სქემის მსგავსად, აქაც ლიკვიდირებულია: „ ერთბაშად ისეთი საკვირველი სანახაობა გადაეშალათ, რომლის დარი თვალთ არ ენახათ. ნადიმი ის იყო, იწყებოდა. მიწა დიდ სიგრძე-სიგანეზე ამოედრუტნათ და დიდი სასადილო ოთახი მოეწყოთ. ოთახის შუაგულში, ვეება მაგიდას სულ ცოტა, ოცდაცხრა ნადირი უჯდა...“ (დალი, 2022:89).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დალის საბავშვო ნაწარმოებში „შეუდარებელი ბატონი მელია“ წარმოდგენილი მელიის პერსონაჟი მსგავსებას ამჟღავნებს მსოფლიო ხალხთა ზღაპრებში წარმოდგენილი მელიის სახე-სიმბოლოსთან. ძირითადი მსგავსებები მდგომარეობს მელიისათვის ადამიანური ნიშან-თვისებების მინიჭებასა და მისი კონკრეტული თვისებების- მოხერხებულობისა და ოინზაზობის წარმოდგენაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მელიის საბოლოო მიზანს უმეტეს შემთხვევაში საკვების მოპოვება

წარმოდგენს. აღნიშნული მსგავსებები კიდევ უფრო განამტკიცებს მოსაზრებას ზღაპრის არქეტიპების უნივერსალური ხასიათის შესახებ. ასევე, ტექსტში გვხვდება გარკვეული ელემენტები პროპის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული სქემიდან.

რაც შეეხება, კონკრეტულად რომელიმე ქვეყნის ზღაპრებთან მსგავსებას, გამოკვეთილი მსგავსება არ შეინიშნება. განსხვავების მხრივ, კი აღსანიშნავია იაპონური ზღაპრები, რომლებშიც მელიას ემატება სხვა ზღაპრებისგან განსხვავებული ზებუნებრივი უნარი.

არქეტიპების ტრანსფორმაციის კუთხით, უნდა ითქვას, რომ ძირითად შემთხვევაში ტრანსფორმაცია უფრო კონტექსტუალური ხასიათისაა, ვიდრე უშუალოდ მელიის პერსონაჟთან დაკავშირებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აფრიკული ზღაპრები (2019). გამომცემლობა პალირა L, წიგნი 7.
2. ბრაზილიური ზღაპრები (2019). გამომცემლობა პალიტრა L, წიგნი 14.
3. გერმანული ზღაპრები (2020). გამომცემლობა პალიტრა L, წიგნი 22.
4. დალი (2022). შეუდარებელი ბატონი მელია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
5. ესპანური ზღაპრები (2014). გამომცემლობა ქართული, ტომი IV.
6. იტალიური ზღაპრები (2020). გამომცემლობა პალიტრა L, წიგნი 26.
7. საზღვარგარეთის ხალხთა ზღაპრები (1964). ნაკადული.
8. ჩოლოყაშვილი რ. (2013). მელიის მხატვრული სახის ტრანსფორმაციის ფორმები ქართულ ფოლკლორში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
9. Boss A. (2020). An analytical comparison of foxes within European and Japanese beast tales. University of British Columbia.
10. Chadwick J. (1994). The fox : A medieval View, and its Legacy in Modern Children's Literature, Winter & Spring.
11. Dogra S. (2017). The Thirty-One Functions in Vladimir Propp's Morphology of the Folktale: An Outline and Recent Trends in the Applicability of the Proppian Taxonomic Model, Rupkatha Journal on Interdisciplinary Studies in Humanities, Vol. IX, No. 2.
12. Frye N. (1957). Anatomy of Criticism, Princeton University Press.
13. Gijo D, George K (2021). Archetypal Criticism: A Brief study of the Discipline and the Sempiternal Relevance of its Pioneers, International Journal of English Literature and Social Sciences Vol-6, Issue-2.
14. Schober A. (2018). Diversifying the children in Roald Dahl's Charlie and the Chocolate Factory: From Page to Screen, Red Feather Journal, Volume 9, Issue 1.
15. Shishkoff S. (1976). The structure of of fairytales: Prop VS Levi – Strauss, The University of Michigan, Dispositio Vol 1, No 3, 271-276.
16. Teupe L. (2013). The function of Animals in Fairy Tales and Fables. Term Paper.

Fairy Tale Archetypes in Roald Dahl's Children's Book "The Fantastic Mr. Fox"

Tamari Burnadze

Abstract

The article presents an analysis of Roald Dahl's children's book 'The fantastic *Mr. Fox*', based on the identification and interpretation of fairy tale archetypes within the work.

The aim of the article is to investigate, based on the analyzed material, the significance of the archetypal elements in Dahl's children's book and their connection to the fairy tales of different cultures. Additionally, the research seeks to determine the transformation of fairy tale archetypes from the folk tales of various cultures to Dahl's work, identifying which archetype is most prominent and which country's fairy tales exhibit the greatest similarities.

Keywords: archetypes, fairy tale archetypes, world folk tales, the fox as a symbol, Roald Dahl.